პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981
ოქტომბერი
ხუთშაბათი
22
ოქტომბერი
№ 242
(18184)
ფასი
2 კაპ.

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საოქტომბრო შრომის ვახტზე

ტყიბული. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას „აღმოსავლეთ-2“ შახტის მესამე საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც ახალგაზრდა სამთო ინჟინერი მ. ქოქოსაძე მეთაურობს. მთწინავე კოლექტივი დიდი გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო დავალებას. განვლილ ცხრა თვეში მის ანგარიშზეა საგეგმო დავალების გადამეტებით ამოღებული 1175 ტონა საკოქსე ქვანახშირი. უბნის თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება ამავე პერიოდში გაზრდილია 6,3 პროცენტით. ტონა ქვანახშირის თვითღირებულება კი შემცირებულია 7 კაპიკით. მარტო ამ გზით, მესამეუბნელებმა 3 ათასი მანეთი დაზოგეს.

მოწინავე შრომითმა კოლექტივმა ამ დღეებში გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი, გაითვალისწინა შიდა რეზერვები და გადაწყვიტა წლიური დავალება ათი დღით ადრე — 21 დეკემბერს შეასრულოს, ხოლო 7 ნოემბრისათვის დავალების გადამეტებით ამოიღოს სულ ცოტა 1600 ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი. უბნის საწმენდი სანგრევის მოწინავე მეშები ბ. მოდებაძე, რ. ქათამაძე და თ. დეკანოიძე, გაეცნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებს, ახლა იმას ცდილობენ, რომ საკოქსე ქვანახშირის მონგრევის პირადი წლიური ნორმა დიადი დღესასწაულისათვის შეასრულონ.

ვ. ცირეკიძე.

● ●

სურათზე: (მარცხნიდან), ბ. მოდებაძე, ჟ. შარვაძე, მ. ქოქოსაძე, რ. ქათამაძე და თ. დეკანოიძე შახტში ჩასვლის წინ.

ს. სოფრომაძის ფოტო.

მასპინძელია საბჭოთა საქართველო

საქართველო ის ქვეყანაა, პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიის განუყოფელ ნაწილად რომ იქცა!

საქართველოდან გაჰყვა „იავნანას“ მომაჯადოებელი ჰანგები დიდ რუს კომპოზიტორს პეტრე ჩაიკოვსკის.

საქართველო მუზების ქვეყანაა და ამიტომაც აირჩია იგი დიდი მუსიკალური ფორუმის ასპარეზად. არაერთხელ გამართულა ჩვენში მუსიკალური ფესტივალი, მაგრამ ასეთი მასშტაბით, როგორც ახლა, ამ შემოდგომაზე, არა!

ფართოდ გაიხსნა თბილისის კარიბჭეები რუსეთიდან, უკრაინიდან, რესპუბლიკებიდან, უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებისათვის. უმრავლესობა მონაწილეა და ჩამოვიდნენ ოლევარებით, ახალ, უცნობ აუდიტორიასთან შეხვედრების კეთილი მოლოდინით, თვით ქართული მუსიკალური კულტურისადმი ცნობისწადილით.

ეს არ იქნება მხოლოდ და მხოლოდ სადედაქალაქო ზეიმი, მთელი საქართველო, ამერ-იმერი უმასპინძლებს საბჭოთა მუსიკის საკავშირო ფესტივალის მონაწილეებს. მასპინძელია ქუთაისიც და ბათუმიც, სოხუმიც და ცხინვალიც, ტყიბულიც და გაგრაც, ბიჭვინთაც და მცხეთაც, სოღანაღიც და თელავიც, რუსთავიც და გორიც, ზესტაფონიცა და ქობულეთიც, ვარდისუბანიც და საგარეჯოც, ნაშურიც და კასპიც, ბორჯომიც და გურჯაანიც. ალბათ, 22-დან 30 ოქტომბრამდე უმუსიკოდ, უსიმღეროდ არ დარჩება არც ერთი კუთხე. ეს იქნება ხალხთა მეგობრობის დიდი მუსიკალური ზეიმი მთელ საბჭოთა საქართველოში.

აი, სწორედ ასეთი გახალხურება, ასეთი მიახლოება, ასეთი უშუალობაა ძალა ხელოვნებისა და მით უმეტეს ხელოწიფებათ ეს მუსიკის მსახურთ, რადგან ენა სამეფეველო მრავალია, მუსიკისა კი ერთადერთი, ანუ საყოველთაო.

ბევრი რამ სასიკეთო და საქვეყნო შეუძლია გამოთქვას მუსიკის უზენაეს ენაზე შემოქმედმა! ამ ენაზე შეიძლება გაესაუბრო უმრწმესსაც და უხუცესსაც.

საქართველო მზად არის სამუსიკოდ და სამღერლად — დროც სალხინოა, — ჭირნახულის მოწევის მიწურული, რთველის მიწურული, დრო, როდესაც შრომით მოღლილ კაცს შვებით სურს ამოისუნთქოს და დაეჯაშნოს შემოდგომა-81-ის მოსავლის გემო. დაგემოვნება-დაჭაშნიკებას კი საქართველოში მუდამ ახლდა და ახლავს „მრავალჟამიერი“... და დღეს იგი უფრო ომახიანად აჟღერდება, როცა ჩვენს დედაქალაქში საზეიმოდ გაიხსნება საბჭოთა მუსიკის სრულიად საკავშირო ფესტივალი.

ბევრისთვის უცხო და ახალი იქნება ქართული ჰანგები, ბევრისთვის ნაცნობი და მონატრებული. ქართულმა მუსიკალურმა ფოლკლორმა ხომ დიდი აღიარება მოიპოვა მსოფლიო ასპარეზზე. მსოფლიო ასპარეზზე კარგად იცნობენ თანამედროვე ქართულ მუსიკასაც. ეს ნაცნობობა გადაიზარდა თანამშემოქმედებაში და ამან უფრო გაზარდა ქართული მუსიკის მოყვარულთა წრეები სხვადასხვა ქვეყანაში, უფრო დააინტერესა სპეციალისტები გაიცნონ მუსიკალური ტრადიციების ერთ-ერთი ძველესი ქვეყანა — საქართველო.

ქართველმა ხალხმა თავისი შემოქმედებითი ენერგია გარწყინვალედ გამოავლინა საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდ ზეიმზე, ზეიმზე, რომელსაც ესწრებოდა ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. ეროვნული ზეიმის დღეს მის მიერ წარმოთქმული გულითადი სიტყვა დაიმახსოვრა ყოველმა ჩვენგანმა. ამ სიტყვაში მან ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების თვალსაჩინო მიღწევები და დასძინა, რომ „საბჭოთა საქართველოს ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, თეატრში, კინოში, არქიტექტურაში არის შესანიშნავი ქმნილებები, რომლებმაც გაამდიდრა მრავალეროვნული საბჭოთა კულტურა“.

დიდია საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის წვლილი ქართული კულტურის ასეთ აღზევებაში, ქართული ხელოვნების ასპარეზის ასეთ გაფართოებაში. ამ ხარდაჭერას და გულშემატკივრობას გრძნობენ ნიადაგ და ხედავენ ჩვენი ხელოვნების მოღვაწენი აქაც, სამშობლოში და უცხოეთში ყოფნისას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ამ ყურადღებამ, ქართველი ხელოვნისადმი ასეთმა რწმენამ, საპასუხო სასიხარულო ნაყოფიც გამოიღო და ეს საყოველთაოდ თვალსაჩინოა.

უკანასკნელ წლებში მხატვრული შემოქმედებისადმი გაზრდილად პარტიულმა და სახელმწიფოებრივმა ზრუნვამ, გულითადობამ ძალა შემატა შემოქმედს შექმნას უკეთესი და უკეთესი ნაწარმოებები, ღირსი თანამედროვეობისა, ხუთწლედის მძლავრი ნაბიჯებისა, საბჭოთა ხალხის სულიერი სიძლიერისა.

ფართოდ გავუღოთ გულისკარი ასეთ შემოქმედთ, ფართოდ გავუსხნათ კარიბჭენი მუსიკის მუზას!

ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი

„პრავდის“ კორესპონდენტის კითხვაზე

კითხვა: ახლახან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა განაცხადა, საბჭოთა კავშირს, თუ მისი ხელმძღვანელების „ერთმანეთში“ საუბრით ვიმსჯელებთ, შესაძლებლად მიაჩნია ბირთვული ომში გამარჯვებაო. ამით იგი ცდილობდა დაესაბუთებინა ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული ელისეის არსენალის დაჩქარებული ზრდის კურსი.

რას გვეტყოდით, ლეონიდ ილიას ძეო, ამერიკის პრეზიდენტის ამ განცხადების გამო?

პასუხი: ბატონ რეიგანიხ სინდისზე იყოს იმის დამოწმება, თითქოს იცოდეს, რაზე საუბრობენ ერთმანეთში საბჭოთა ხელმძღვანელები, მაგრამ საკითხის არსის გამო შემდეგს ვიტყვი.

საბჭოთა ხელმძღვანელობის, ისევე, როგორც მთლიანად საბჭოთა ხალხის, ფიქრებისა და მეცადინეობის მიზანი ის არის, რომ საერთოდ არ დაუშვან ბირთვული ომი, აღმოფხვრან მისი წარმოქმნის თვით საფრთხე. ჩვენს წრეში იმასვე ვამბობთ, რაც საჯაროდ ვთქვი სკკპ XXVI ყრილობის ტრიბუნიდან, სახელდობრ: ეცადო გაუსწრო მეტოქეს შეიარაღების გამლებით, იქონიო ბირთვულ ომში გამარჯვების იმედი — ეს საშიში უგუნურებაა.

დაქძენ, გამარჯვების იმედით ბირთვული ომის დაწყება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც თავის მოკვლა განუზრახავს. რა ძალიერიც უნდა იყოს თავდამსხმელი, ბირთვული ომის გაჩაღების რა ხერხიც უნდა აირჩიოს, ვერ მიაღწევს თავის მიზნებს. შურისგებას ვერსად წაუვა.

ასეთია ჩვენი პრინციპული თვალსაზრისი. კარგი იქნება, თუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტიც გააკეთებს მკაფიო და არაორაზროვან განცხადებას და უარყოფს ბირთვული თავდასხმის თვით იდეას როგორც დანაშაულებრივს.

საკითხავია, რატომ არ უნდა დაუჭიროს მხარი შეერთებულმა შტატებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიაზე საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილ წინადადებას ომის თაობაზე, რომ პირველებმა არ გამოიყენონ ბირთვული იარაღი?

არადა, თუ არ იქნება პირველი ბირთვული დარტყმა, მაშასადამე, არ იქნება არც მეორე, არც მესამე ბირთვული დარტყმა, და ამრიგად უსაგნო გახდება თავისთავად მსჯელობა ბირთვულ ომში გამარჯვების შესაძლებლობის ან შეუძლებლობის შესახებ — დღის წესრიგიდან მოიხსნება ბირთვული ომის, როგორც ასეთი, საკითხი.

ეს კი სწორედ ის არის, რასაც ესწრაფვის მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი, რისთვისაც თანამიმდევრულად იღვწიან საბჭოთა კავშირი და მისი ხელმძღვანელობა. ასე რომ, სატყვა შეერთებულ შტატებზე, მის ხელმძღვანელობაზეა.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ი. რაუ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა 21 ოქტომბერს კრემლში მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩრდილოეთი რაინ-ვესტფალიის მხარის პრემიერ-მინისტრი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის წევრი იოჰანეს რაუ, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

საუბარი მიეძღვნა საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებს.

საუბრის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სხვადასხვა სფეროში საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ნაყოფიერი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულების, სხვა იმ შეთანხმებათა და მორიგებათა საფუძველზე, რომლებიც მიღწეულია ორ ქვეყანას შორის, უწინარეს ყოვლისა, უმაღლეს დონეზე.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე სსრ კავშირმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ბევრი რამ იღონეს საიმისოდ, რომ უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი, შეექმნათ ორმხრივი ნდობის საფუძველი, დაემყარებინათ თანამშრომლობა მრავალ დარგში.

გამოითქვა ერთსულოვანი აზრი, რომ ასეთი კურსი შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა საარსებო ინტერესებს.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობისა და ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება ევროპის კონტინენტსა და საერთოდ საერთაშორისო ასპარეზზე სტაბილურობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, ამ თანამშრომლობის განვითარება-გაღრმავებისათვის საჭიროა ძალისხმევა, რათა შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, შემცირდეს საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია ევროპაში სამხედრო კონფრონტაციასთან, განსაკუთრებით ბირთვულ დარგში.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა თანამიმდევრული ხასიათი საბჭოთა საგარეო პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავს ომის საფრთხის აღკვეთას, დაძაბულობის შენელების გაღრმავებას, სხვა სახელმწიფოთა შორის ბიანი ურთიერთობის განვითარებას.

შეიფასა რა შექმნილი საერთაშორისო ვითარება, ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა რწმენა, რომ შეიარაღების მასშტაბის უსაზღვრო, ყოველად გაუმართლებელი ზრდა, ის ტენდენცია, რომ გამოიყენონ სხვა ქვეყნების ტერიტორიები ტრამპლინად და მეხამრდად ზოგ-ზოგების დაგეგმილ ბირთვულ ომში — ეს საერთაშორისო განვითარების ისეთი მიმართულებაა, რომელიც კარგს არაფერს უქადის ევროპის ხალხებს. საბჭოთა კავშირი ომის მომხრეა, რომ დაიდოს კონკრეტული ეფექტიანი შეთანხმებანი გამაღებული ბირთვული შეიარაღების ალაგშისა და სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირების შესახებ. ასეთ შეთანხმებათა მიღწევის თავიდათავია მხარეთა თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის მტკიცედ დაცვა. საბჭოთა კავშირი მაქსიმალურად გამოიჩენს კეთილ ნებას, ვინაიდან იგი ესწრაფვის ისეთ მორიგებათა მიღწევას, რომლებიც ნამდვილად შეამცირებდა ბირთვული ომის წარმოშობის საფრთხეს, განამტკიცებდა ევროპისა და სხვა კონტინენტების ხალხთა უშიშროებას.

ი. რაუმ, თავის მხრივ, ჩამოაყალიბა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოზიცია ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების საკითხზე. ამასთან ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხისათვის მშვიდობის შენარჩუნება თვით მისი ყოფნა-არყოფნის საკითხია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, აღნიშნა მან, მიეცალმება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალ ჟენევის მოლაპარაკებას და ყოველნაირად შეუწყობს ხელს მის წარმატებას. დასავლეთ გერმანიის მთავრობას იმედი აქვს, რომ ეს მოლაპარაკება მალე მოიტანს დადებითს შედეგებს და შესაძლებლობას მოგვცემს მივაღწიოთ ევროპაში მხარეთა ბირთვული შეიარაღების შემცირებას ნაცვალგების საფუძველზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. რაუმ აღნიშნეს, რომ თანამედროვე პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოთა ფართო დიალოგს იმ მიზნით, რომ დავძლიოთ უთანხმოებანი და დაძაბულობა, განვამტკიცოთ მშვიდობის საფუძვლები ამ თვალსაზრისით. საუბრის მონაწილეთა ღრმა რწმენით, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მისი მოლაპარაკება ფედერალურ კანცლერთან ჰ. შმიდტთან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან.

საუბარმა გულახდილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ჰ. ბუბერი და ჩრდილოეთი რაინ-ვესტფალიის მხარის მთავრობის სტატს-მდივანი რ. კრუმნიკი. (საკრესი).

სურათზე: საუბრის დროს.

საკრეს-საქინფორმის ტელეფოტო.

თბილისში ჩამოვიდა სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ამხ. პ. ნ. დემიჩევი

22-29 ოქტომბერს საქართველოში ეწყობა საბჭოთა მუსიკის სრულიად საკავშირო ფესტივალი — საბჭოთა კომპოზიტორებისა და შემსრულებლების თავისებური შემოქმედებითი ანგარიში უკანასკნელ წლებში გაწეული მუშაობის შესახებ

ამ მოვლენასთან დაკავშირებით 21 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი.

მასთან ერთად საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ტ. ნ. ხრენიკოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. თ. კუზარსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ი. კ. კურაევნინი.

თბილისის აეროპორტში სტუმრებს დახვდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გელაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. შენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ო. ე ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. შ. ორჯონიკიძე.

(საქინფორმი).

საქართველო ეგებება ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს

ჩვენი ქვეყნის წამყვანი მუსიკოსები, აღიარებული მხატვრული კოლექტივები, რომლებიც მონაწილეობენ საბჭოთა მუსიკის სრულიად საკავშირო ფესტივალში, თბილისში ჩამოვიდნენ.

რესპუბლიკის დედაქალაქის მუსიკალური საზოგადოებრიობა სტუმართმოყვარულ ად დახვდა მოსკოვის, ლენინგრადის, ესტონეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, რუსეთის სფს რესპუბლიკის ქალაქების მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა დელეგაციებს. საქართველოში მოემგზავრებიან უკრაინისა და ბელორუსიის, მოლდავეთისა და თურქმენეთის, სომხეთისა და ტაჯიკეთის, ლატვიისა და ლიტვის, დაღესტნისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების კომპოზიტორები და შემსრულებლები.

თბილისში ჩამოვიდნენ ავრეთვე ფესტივალის საზღვარგარეთელი სტუმრებიც. მათ შორის არიან ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის კომპოზიტორები და მუსიკალური კრიტიკოსები.

საბჭოთა და საზღვარგარეთელ მუსიკოსებს დახვდნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ძვირფას სტუმრებს საშუალება ექნებათ არა მარტო მონაწილეობა მიიღონ საფესტივალო კონცერტებში, არამედ გაეცნონ რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრებას, ისტორიულ ძეგლებს, დაესწრონ სახალხო დღესასწაულს თბილისობას, მოაწყონ ექსკურსიები ქალაქ —მუზეუმ მცხეთაში, საქართველოს რაიონებში.

ქვეყნის მუსიკალური კულტურის მოღვაწენი და ფესტივალის საზღვარგარეთელი სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. (საქინფორმი).

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენო, კულტურის მუშაკებო! შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსი ნაწარმოებები!

მაღლა გეჭიროთ საბჭოთა ხელოვნების იდეურობის, პარტიულობისა და ხალხურობის დროშა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

სოციალისტური შეჯიბრების დღიური

თბილისი

სტალინის სახელობის ელექტროგაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა ზეგეგმით შეაკეთა 1 ელექტროსექცია, 8 ელექტროძარეანი, 1 მეტროს ვაგონი, 5 საფლოტაციო დანადგარი, გამოუშვა 9 ტონა ნაკეები. თბილისელმა ელექტროვაგონშემკეთებლ ებმ ა ცხრა თვის დავალება 107,8 პროცენტით შეასრულეს და სამედო საფუძველი შეუქმნეს ეფექტიან შრომითს შეჯიბრებას დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავის აღსანიშნავად.

შეჯიბრების ავანგარდში არიან ელექტროშოფსაბლების შემკეთებელი საამქროს ილია ზარიძის ელექტროზეინკალთა ბრიგადა, სამგზავრო ვაგონების საამქროს კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ვაჟა კუპრაძე ხელმძღვანელობს, აგრეთვე არსენ აფაქიძის ელექტროშემდუღებელთა და ალექსი როსტიაშვილის მერემონტეთა კოლექტივები. მათ ვადამდე შეასრულეს თვიანთი წლიური დავალებანი და გადაწყვიტეს 7 ნოემბრისათვის გაანაღდონ წელიწად-ნახევრის გეგმა. მოწინავეთა მაგალითს მიბაძა ქარხნის ოცზე მეტმა ბრიგადამ.

რუსთავი

„400“ მილსაგლინავი დგანის ერთი საათით მოცდენა 960 მანეთ ზარალს იწვევს“ — იუწყება მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში გამოკრული პლაკატი. მის გვერდით სხვა ცნობაა: ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ოსტატები კოტე შაორშიძე, რეზო ლომიძე და გიორგი ბერუაშვილი, მიაღწიეს მუშაობის ყველაზე მაღალ ეფექტიანობას. მათი დგანები „140“ და „400“ წუთსაც არ ცდება. ამის მეოხებით მარტო საოქტომბრო შეჯიბრებაში, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართა, გამოუშვეს ათასამდე ტონა ზეგეგმითი მილები.

სამი მოწინავე ბრიგადის გამოცდილება რუსთავის ყველა მილმტალისა გადაეცა.

ფოთი

ზღვისპირა ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა დავალების გადამეტებით ხუთი მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ამით მათ ვადაზე გაცდენებით ადრე გაანაღდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულებანი. თავი გამოიჩინეს ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნის, „ფოთელექტროაპარატის“, ადგილობრივი მრეწველობისა და სხვა საწარმოთა მშრომელებმა.

ცხინვალი

მომინანქრებული სადენების ქარხნის კოლექტივის საამქროებს, ბრიგადებსა და ცალკეულ მუშებს შორის საოქტომბრო დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. საწარმოს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა 9 თვის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათასობით მანეთის სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქცია, რომლის ხვედრითმა წილმა დამზადებული პროდუქციის მთლიან მოცულობაში 30,1 პროცენტი შეადგინა.

ა. გაბარაევის, პ. კაბისოვის, ა. ბითიევის, ვ. ქოზაევის ბრიგადების წევრები პირველები შეუდგნენ ორის ნაცვლად სამ დაზგაზე მუშაობას.

მომინანქრებლებმა გადაწყვიტეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავისათვის 11 თვის სახელმწიფო დავალების მესერულება უპატაკონ სამშობლოს.

განვამტკიცოთ ერთიანობა და სოლიდარობა

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის IX კონგრესი

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მართალი სიტყვით მიმართავს მსოფლიოს ადამიანებს, ეხმარება მათ გზა გაიგნონ თანამედროვე სამყაროს რთულ პრობლემებსა და წინააღმდეგობებში, ყოველნაირად უწყობს ხელს მშვიდობის, დემოკრატიის და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის გააქტიურებას. მისი საქმიანობის სრულყოფის გზები ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის IX კონგრესის მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია. 20 ოქტომბერს კონგრესი მუშაობას განაგრძობდა მოსკოვის კავშირების სახლის სეანსებიან დარბაზში.

კონგრესის მონაწილეებმა მოისმინეს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პროფესიული, სოციალური და სარეგიონო კომისიების, განვითარებადი ქვეყნების ჟურნალისტთა მზადების საკოორდინაციო კომიტეტის, მეცნიერული კვლევის და დოკუმენტაციის კომიტეტის ანგარიშები.

დემოკრატიული ძალების ინტერნაციონალური სოლიდარობის პრინციპების ერთგული ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია მუდამ იღვწოდა და იღვწის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაკთა უფლებებისა და თავისუფლებებისათვის. ამის კონკრეტული გამოხატულებაა ის დახმარება და მხარდაჭერა, რომელსაც უწევენ გმირ ვიეტნამს მისი მშვიდობიანი აღდგენის პროცესში, აგრეთვე ავღანეთის, კამპუჩიისა და ლაოსის ჟურნალისტებს. ამას მოწმობს სოლიდარობა ჩილეს, ნიკარაგუის, სალვადორისა და სხვა ქვეყნების ჟურნალისტებისადმი.

კონგრესმა მაღალი შეფასება მისცა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობას განვითარებადი ქვეყნების ჟურნალისტთა სწავლებისა და ოსტატობის ამაღლების ორგანიზაციის დარგში.

სხდომაზე გამოსულმა საერთაშორისო და რეგიონალურ ჟურნალისტთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, კონგრესის სტუმრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სულ უფრო მეტ როლს ასრულებენ თანამედროვე სამყაროში, თქვეს, რომ საჭიროა გაერთიანდნენ მთელი დემოკრატიული ძალები მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში. აღინიშნა აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო წყობილების ქვეყნების ჟურნალისტთა თანამშრომლობის დიდი მნიშვნელობა.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარეს ი. არაფატს, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის IX კონგრესის მუშაობა მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობის დიდ ყურადღებას იპყრობს. მის მონაწილეებს მიესალმნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. კასტრო, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰ. ასადი, აგრეთვე მთელი რიგი საერთაშორისო და რეგიონალური ჟურნალისტთა ორგანიზაციები.

კონგრესის მონაწილეები იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინთან შეამკეს იგი.

გვირგვინი მიიტანეს აგრეთვე კრემლის გალავანთან დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. (საკრესი).

ორმხრივი გამოცდილება ორივე მხარეს ამდიდრებს

გვესაუბრებიან სსრ კავშირის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მიზნით მოსახლეობასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერაციის გამოცდილების გამოყენების საკითხისადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილენი:

იმრე კოვაჩი,

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე:

დღეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ორ მესამედს აწარმოებენ მსხვილსასაქონლო მეურნეობანი, ერთ მესამედს კი წვრილი მწარმოებლები მსხვილსასაქონლო მეურნეობათა ეფექტიანი დახმარებით. ამჟამად მათი წილი მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღებაში 23 პროცენტს შეადგენს.

1,6 მილიონი ოჯახი — 4,7 მილიონ კაცზე მეტი მისდევს უნგრეთში მეტ-ნაკლებად წვრილ წარმოებას. მათს მეურნეობებზე მოდის სასოფლო-სამეურნეო საგარგულების 15,2 პროცენტი — სოფლის მეურნეობის მთელი ძირითადი ფონდების მეოთხედი.

ჩვენ საკარმიდამო მეურნეობას ვუწოდებთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების წევრთა და სახელმწიფო მეურნეობების მშრომელთა საწარმოო საქმიანობას, რომელსაც ისინი ეწევიან საკარმიდამო სამეურნეო ნაგებობებში, მშრომელებისათვის გამოყოფილ მიწაზე. კოოპერატივის თითოეულ წევრს უფლება აქვს — მეტი ან ნაკლები გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის მიხედვით — საკარმიდამო ნაკვეთზე, რომლის ფართობი 0,6 ჰექტარს არ უნდა აღემატებოდეს.

საკარმიდამო ნაკვეთებში პირუტყვის სულადობა არ არის შეზღუდული. დამხმარეს ვუწოდებთ ჩვენ იმ პირთა წვრილ მეურნეობებს, რომლებსაც არა აქვთ კავშირი სოფლის მეურნეობასთან (მუშების, რკინიგზელების, პედაგოგებისა და სხვათა), აგრეთვე საწარმოო საქმიანობას საკუთარ ბაღებში და საყვარაკო ნაკვეთებში.

წვრილ მწარმოებელთა 800 ათასი ოჯახი პროდუქციას აბაშის ბაზრისათვის, დანარჩენები უზრუნველყოფენ მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებას. ყურადღებიანი ღირსია ისიც, რომ დღეს წვრილ მწარმოებელთა უმრავლესობას მარტოოდენ სოფლის მეურნეობის მშრომელები როდი შეადგენენ.

წვრილ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომა შეადგენს დაახლოებით 2,5 მილიარდ სამუშაო საათს წელიწადში, რაც ნიშნავს საშუალოდ 2 საათის დამატებითს შრომას ყოველდღიურად თითოეულ მუშა-მოსამსახურეზე გაანგარიშებით.

1979 წელს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული 6,8 მილიონი სული ღორიდან 2,9 მილიონი სული წვრილმა მწარმოებლებმა ჩააბარეს. ამ რაოდენობის 90 პროცენტზე მეტი მათ გაასუქეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სახელმწიფო მეურნეობების დახმარებით.

სოციალისტური მსხვილსასაქონლო საწარმოების, სახელმწიფოს მეურნეობების საწარმოო კოოპერატივების, საერთო სამომხმარებლო-გამსაღებელი კოოპერატივების, საკარმიდამო და დამხმარე მეურნეობების კარგად ორგანიზებული და აწყობილი თანამშრომლობა მდიდარ რეზერვებს შეიცავს, რომლებიც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ.

ვ. სიდორენკო,

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე:

როგორც ცნობილია, სასურსათო პრობლემის წარმატებით გადაჭრის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ საჭიროდ ცნეს შემუშავდეს სპეციალური პროგრამა. აქ მთავარი ადგილი უდავოდ ეკუთვნით საზოგადოებრივ მეურნეობებს, მაგრამ სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში დიდი როლი ეკისრება აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას ინდივიდუალურ სექტორში. პირადი დამხმარე მეურნეობები — ეს ქვეყნის დიდი აგრარული საამქროა, რომელიც აწარმოებს ყველა კატეგორიის მეურნეობებში მიღებული მთლიანი პროდუქციის მეოთხედზე მეტს.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე პირად დამხმარე მეურნეობებს უწოდა არსებითი დასაყრდენი ხორცის, რძისა და ზოგიერთი სხვა პროდუქტის წარმოებაში. უკვე ახლა იქ ამზადებენ ქვეყნის საერთო წარმოების რძის, ხორცის, კვერცხისა და ბოსტნეულის დაახლოებით მესამედს, აგრეთვე დიდძალ კარტოფილს, ხილს, ყურძენს. მაგრამ პირად მეურნეობებში მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქციის წარმოების ზრდის შესაძლებლობანი სრულად არ გამოიყენება. სწორედ ამას მიაპყრეს ყურადღება სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის იანვარში მიღებულ დადგენილებაში „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დამატებითს ღონისძიებათა შესახებ“.

კოლმეურნეებისა და სოფლად მცხოვრები მუშა-მოსამსახურეების ოჯახების მნიშვნელოვან ნაწილს არა ჰყავს პირუტყვი და ფრინველი. მაგალითად, გასულ წელს პირად მეურნეობათა 31 პროცენტს პირად საკუთრებაში არ ჰყავდა არც ერთი სახეობის პროდუქტიული პირუტყვი, 45 პროცენტს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 51 პროცენტს — ძროხა, 65 პროცენტს — ღორი, 76 პროცენტს — ცხვარი და თხა. ეს ჩვენი უდიდესი რეზერვია, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სამეურნეო ორგანიზებისა და ადგილობრივი საბჭოების შეთანხმებული მოქმედების პირობებში. ასეთი ორგანიზებული მუშაობის მაგალითია საქართველოს რესპუბლიკის აბაშის რაიონი, სადაც შესანიშნავი შედეგებია მიღწეული.

გ. მგელაძე,

პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი:

გასულ წელს საქართველოს პარტიულ მუშაკთა დელეგაციამ უნგრეთში იყო. გულითადი მიღება, სითბო, რომელსაც არ გვაკლებდნენ, მუდამ გვეხსომება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ მოძმე ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გულუხვად გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება. მათი გამოცდილება, ისევე როგორც ჩვენი, გვარწმუნებს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში საგრძნობ შედეგებს ვერ მივაღწევთ, თუ საზოგადოებრივი ინტერესები არ შევუხამეთ სოფლის მშრომელთა ფართო მასების პირად ინტერესებს, რომელთა გარჯითაც იქმნება საბოლოო პროდუქცია.

აბაშის რაიონული პარტიული ორგანიზაცია მივიდა მტკიცე დასკვნამდე, რომ იმ რგოლს, რომელიც გამოაცოცხლებს ნატურალური მეურნეობებისადმი ინტერესს, წარმოადგენს კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სამეურნეოგაერთიანებთან მოსახლეობის კოოპერირებული გზით პირუტყვის გამოზრდისა დასუქების ორგანიზაცია. ამჟამად რაიონში 2ოქმედებს ზუსტად შეუმუშავებული სისტემა: საზოგადოებრივი მეურნეობანი მოსახლეობას უდებენ ხელშეკრულებებს, რომ გამოზარდონ ეს კილოგრამამდე წონის ღორები. გოჯების ნაწილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მცირე რეპროდუქტორების სულ უფრო მზარდი ქსელისაგან სუქებისათვის გადაეცემა მოსახლეობას. ჩაბარებული ღორის ხორცისათვის სახელმწიფო დამზადების ფასით საბოლოო ანგარიშსწორების დროს გამოიქვითება: გოჯების პირვანდელი წონა. მოსახლეობას ეძლევა კომბინირებული საკვები მტკიცე სახელმწიფო სარეალიზაციო ფასად, ერთ კილოგრამ წონანამატზე 4 კილოგრამი კომბინირებული საკვების ანგარიშით. ბევრ საკარმიდამო ნაკვეთში დაიდგა საღორეები, რომელთა მშენებლობისათვის საბომხმარებლო კოოპერაცია მსურველებს აძლევს ცემენტს, სხვა საშენ მასალას.

სოფლის მოსახლეობა დარწმუნდა, თუ როგორ ხელსაყრელი და საიმედოა კოოპერირება და ამიტომ მის მიმართ დიდ ინტერესს იჩენს. წელს ღორის გამოზრდა-გასუქების ხელშეკრულებანი დაუდეთ 3500 კომლს, რომლებსაც ახლა გასასუქებლად ჰყავთ 15 ათასი გოჯი. საკარმიდამო სექტორიდან მოველით სულ ცოტა 1500 ტონას, რაც რაიონში დამზადებული მთელი ხორცის ნახევარს შეადგენს.

ჩვენ საამოვნებით გავუზიარებთ შეძენილ გამოცდილებას ყველას, ვინც კი ისურვებს აამოქმედოს პირადი დამხმარე მეურნეობის რეზერვები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

ზუგდიდის რაიონული საბჭოთა დეპუტატების მუშათა დეპუტატების

ზუგდიდი

21 ოქტომბერი

დიდი აღშფოთება

პრეზიდენტ რეიგანის აგრესიული გამონათქვამების გამო

ბონი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პოლიტიკური ქარიშხალი გამოიწვია რ. რეიგანის გამონათქვამმა, რომ გეგმავს აწარმოოს „შეზღუდული“ ბირთვული ომი ევროპაში, რომელსაც ამით ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული შძვლის როლი განეკუთვნება.

პროვინციული გაზეთების რედაქტორებთან საუბარში გასულ პარასკევს რეიგანმა განაცხადა, რომ შესაძლებელია სიტუაცია, როცა ევროპაში „მოხდება საპასუხო დარტყმები ბრძოლის ველზე ჯარის კონტინგენტების წინააღმდეგ მხარეების მიერ ტაქტიკური იარაღის გამოყენებით ისე, რომ რომელიმე დიდი სახელმწიფო ხელს არ დააჭერს ღილაკს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მან არაორაზროვნად განაცხადა, რომ მისი ადმინისტრაციით სტრატეგიული კონცეფციები გულისხმობს ომის შემთხვევაში რადიაქტიულ ველად გადაიქცეს დასავლეთი ევროპა, ხოლო შეერთებული შტატები განზე დარჩეს.

როგორც დპა-ს საგანგებო იუწყება, გერმანიის მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წამყვანმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა რეიგანის გამონათქვამებს „საშიშად ცინიკური“ გამონათქვამები უწოდეს.

პარიზი. ფრანს პრესის საგაზეთო კორესპონდენტი პაგადან იუწყება: ჰოლანდიის მთავრობამ ვაშინგტონს ახსნა-განმარტება მოსთხოვა, როგორც კი შეიტყო პრეზიდენტ რეიგანის განცხადება ევროპით შემოფარგლული ბირთვული კონფლიქტის შესაძლებლობის შესახებ.

● უნგრეთი-ლაოსი

ერთობლივი კომუნიკე

ბუდაპეშტი. საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ იმპერიალისტები ცდილობენ ხაზხედრო უპირატესობა მოიპოვონ. ეს ნათქვამია უნგრეთში ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პ. სიპასეტის ვიზიტისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ფ. პუიასთან მისი მოლაპარაკების შედეგების გამო გამოქვეყნებულ კომუნიკეში.

მთელ მსოფლიოში, ნათქვამია კომუნიკეში, მტკიცდება ხალხთა გადაწყვეტილება საკადრისი პასუხი გასცენ „ცივი ომის“ პოლიტიკის განახლების მოსურნე ამერიკელ იმპერიალისტთა და პენტაგონელ ჰეგემონისტთა კურსს, მისწრაფება ხელი შეუწყონ გამალებული შეიარაღების ალაგმვას.

მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა კავშირის საშვიდობო ინიციატივებს, ნათქვამია დოკუმენტში.

ფაქტები ● მოვლენები ● კომენტარი

გენერალური ასამბლეის სესიაზე

ახალი საბჭოთა ინიციატივა

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXVI სესიაზე წარგზავნილმა სსრ კავშირის დელეგაციამ ოფიციალურად წარუდგინა ამ საერთაშორისო ფორუმის პირველ კომიტეტს საბჭოთა წინადადება ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების შესახებ. იგი ითვალისწინებს გენერალური ასამბლეის მიერ ისეთი დეკლარაციის მიღებას, რომელიც გამოაცხადებს, რომ „სახელმწიფოები და სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც პირველნი მიმართავენ ბირთვული იარაღის გამოყენებას, უმძიმეს დანაშაულს ჩაიდენენ კაცობრიობის წინააღმდეგ“.

კომიტეტში გამოსვლისას სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ო. ა. ტროიანოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გრძელდება საშიში დაძაბულობის ზრდა, რომ გამალებულ შეიარაღებას უმაგალითო მასშტაბი მიენიჭა და ყოველივე ამას თან სდევს მილიტარისტული ფსიქოზისა და საომარი ისტერიის ატმოსფეროს გამძაფრება.

იმ დროს, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 80-იანი წლები „განიარაღების დეკადად“ გამოაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი კ. უაინბერგერი 80-იან წლებს უწოდებს სსრ კავშირთან „კონფრონტაციის ათწლეულს“. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ყოველნაირად ეარეცლების მითს „საბჭოეთის მხრივ ომის საფრთხის“ შესახებ, რაც სხვა არა არის რა, თუ არა სამხედრო პოტენციალის ზრდის იდეოლოგიური საბრალი.

სსრ კავშირის აზრით, მინიმუმი, რის გაკეთებაც შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საერთაშორისო მოვლენათა საშიშ განვითარებაზე შეამაკავშირებელი ზემოქმედების შოსახდენად, ის არის, რომ მტკიცედ და უყოყმანოდ დაგმოს ბირთვული იარაღის გამოყენების პირველობა. არ არის და ვერც იქნება საფუძველი ან მოტივი, არ არის და ვერ იქნება გარემოება თუ მდგომარეობა, რომელიც საბელმწიფოებს უფლებას მისცემდა პირველებს ეხმარათ ბირთვული იარაღი.

ახალი საბჭოთა ინიციატივა ითვალისწინებს მოწოდებას ბირთვული სახელმწიფოების ხელმძღვანელებისადმი იმოქმედონ ისე, რომ გაჩაღრწყლონ ბირთვული კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე.

ამასთანავე საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა დაიგმოს, როგორც ადამიანური მორალის კანონებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი იდეალებისადმი საწინააღმდეგო, ყოველგვარი დოქტრინა, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს ბირთვული იარაღის გამოყენების პირველობას, და ყოველგვარი მოქმედება, რომელიც კატასტროფისაკენ უბიძგებს მსოფლიოს.

საბჭოთა კავშირი მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის ბედი, მტკიცედ დაუჭირონ მხარი გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, დაგმონ ბირთვულ საშუალებათა არსებული დაუოკებელი ზრდა და აქტიურად ჩაებან თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში, თქვა დასასრულ ო. ა. ტროიანოვსკიმ.

ფოტოინფორმაცია

მხარს უჭერენ სამართლიან ბრძოლას

აშშ. თვითგამორკვევის უფლებისათვის პალესტინელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის მხარდასაჭერად, კემპ-დევიდის გარიგების წინააღმდეგ მასობრივი დემონსტრაცია გაიმართა სან-ფრანცისკოში. მისმა მონაწილეებმა გულისწყრომით დაგმეს ისრაელის ჩარევა სუვერენული ლიბანის საქმეებში, მხარი დაუჭირეს ახლო აღმოსავლეთში აფეთქებასაშიში ვითარების მშვიდობიან მოწესრიგებას, რასაც ყოველნაირად ხელს უშლიან ვაშინგტონი და ტელ-ავივი.

საკლესიის ფოტო.

● ანგოლა

აფართოებენ აგრესიას

ლუანდა. რასისტული სამხრეთ აფრიკის ჯარებმა არტილერიისა და ავიაციის მასირებული მხარდაჭერით კვლავ ხელში ჩაიგდეს ანგოლის კუნენის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი ონჟივუ, იუწყება საბრძოლო მოქმედების რაიონიდან გაზეთ „ეროვნულ დი ანგოლას“ კორესპონდენტი. ოკუპირებულია აგრეთვე ქალაქები შანგონგო, მონგუა და პროვინციის სხვა დასახლებული პუნქტები, სადაც რასისტები უმოწყალოდ სპობენ სამოქალაქო ობიექტებს — ადმინისტრაციულ შენობებს, საავადმყოფოებს, საცხოვრებელ სახლებს. მოსახლეობას შორის არის მრავალი მსხვერპლი.

ამავე დროს, ინტერვენტთა სპეციალური დანიშნულების რაზმები კუნენის პროვინციის ძირითად გზებზე უსაფრთხებიან და თავს ესხმიან სამოქალაქო და სამხედრო ავტომანქანებს, ატყვევებენ მშვიდობიან მცხოვრებთ.

ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ დიდ მასშტაბის აგრესიაში რასისტები ფართოდ იყენებენ დასავლეთის სახელმწიფოების გამოგზავნილ იარაღსა და სამხედრო ტექნიკას.

● კოლუმბია

ვითარება მწვავდება

ბოგოტა. კოლუმბიაში მწვავდება ვითარება. ბოგოტისა და ქვეყნის სხვა ქალაქების ქუჩებს პატრულობენ პოლიციისა და არმიის რაზმები. მუდმივი შეიარაღებული პოსტები მოქმედებს ბოგოტის უდიდეს მაგისტრალებზე, სატრანსპორტო ესტაკადებზე, დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოების შენობებთან. მუშათა კვარტალებში განუწყვეტლივ დადიან ჯავშანტრანსპორტიორები, რომლებზეც ავტომატებითა და ცრემლსადენი გაზის გრანატებით შეიარაღებული ჯარისკაცები ამხედრებულან. ხელისუფლებმა განკარგულება მისცეს პოლიციას დაეკავონ ყველა ეჭვმიტანილი პირი.

უშიშროების ორგანოების აგენტებმა უკვე დააკავეს 200-ზე მეტი კაცი, რომელთა შორის არიან პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელები, პოლიტიკური მოღვაწენი, ჟურნალისტები.

ასეთი საგანგებო ღონისძიებების მეშვეობით ცდილობს მთავრობა ჩაშალოს საყოველთაო ეროვნული გაფიცვა.

გამოთხოვება კომპოზიტორთან

რევაზ ლაღიძის დაკრძალვა

20 ოქტომბერს საქართველოს მშრომელები, საზოგადოებრივნი წარმომადგენლები ეთხოვებოდნენ გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს რევაზ ლაღიძეს.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სადაც იდგა კუბო განსვენებულის ნეშტით, უწყვეტ ნაკადად მიდიოდნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი, შუშები, სტუდენტები, მოსწავლეები, რომ საყვარული და პატივისცემა გამოეხატათ ადამიანისადმი, რომელმაც მთელი ცხოვრება და შემოქმედება მთლიანად საყვარელი სამშობლოს სამსახურს უძღვნა, კომპოზიტორისადმი, რომელმაც ასე ბევრი რამ გაიკეთა საბჭოთა მუსიკის განვითარებისათვის და რომლის სიმღერები უკვე დიდი ხანია ხალხმა შეიყვარა.

თეატრის ფოიე ძაძებში, ყღეოს სევდიანი მელოდიები. ყვავილებით მორთულ კვარცხლბეკზე ასვენია რ. ლაღიძის ცხედარი. კუბოს გარშემო ალაგია შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციებისაგან მოტანილი გვირგვინები. სპატიო ყარაულში დგანან ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწენი, განსვენებულის მეგობრები და მოწაფეები.

გამოჩენილ კომპოზიტორთან გამოსათხოვებლად მოვიდნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, გ. ანდრონიკაშვილი, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, ა. ინაური, თ. მენთეშაშვილი, ჯ. პატიაშვილი, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი.

სამგლოვიარო მიტინგს ხსნის რ. ლაღიძის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი.

გამოსათხოვებელი სიტყვები წარმოთქვეს მუსიკათმცოდნემ ა. წულუკიძემ, თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. სიამაშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ჯ. ჩარკვიანმა.

სამგლოვიარო პროცესია მიეშართება დიდუბის ქართველ მწერალთა პანთეონისაკენ. აქ სამგლოვიარო მიტინგი გრძელდება. მიტინგზე გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ბალანჩივაძე, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ძიძიგური. წაიკითხეს რესპუბლიკისა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი დეპეშები.

მიტინგი დამთავრდა. კუბოს ნელა უშვებენ საფლავში, რომელსაც შემოდგომის ხასხასა ყვავილებით ამკობენ.

...აღარ გვაყვს კომპოზიტორი, მაგრამ დაგვრჩა სიმღერები, მუსიკა... (საქინფორმი).

● ● ●

ხელოვნების და მეგობრობის დღესასწაული

შეხვედრის სიხარული

ლაკარაკობენ ჩვენი სტუმრები

...ოხი წლის შემდეგ ისევ მომიხდა თქვენს ქალაქში ჩამოსვლა, ...ნშავს ახალ სასიამოვნო შეხვედრას საოცრად მუსიკალურ ხალ... ჩვენი ორკესტრი ფესტივალის დღეებში ბევრი სახელგანთქმუ...კომპოზიტორის ნაწარმოებს მოასმენინებს თბილისელებს. მარ...ტინო ხრენიკოვის საავტორო კონცერტი რად ღირს!..

...ენი გამოსვლა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გვი... გაეხსნათ შესანიშნავი ქართველი კომპოზიტორის რევაზ ლა...ის „საჭიდაოთი“ და ამით მოვიხსენიოთ ადამიანი, რომელიც ...ენინ ასე დაატირა მთელმა თბილისმა.

...ენს ორკესტრთან ერთად მოსკოვში ყოველთვის უკრავენ ხოლმე ...ველი მუსიკოს-შემსრულებლები ელისო ცირსალაძე, ლექსო ...ბაე და სხვები. ეს თანამშრომლობა სასიამოვნო და ნაყოფიერია. ...ევ ერთხელ მივესალმები საზეიმო, საფესტივალო თბილის...ს, მის ლამაზ ადამიანებს.

ვლ. ფედოსეევი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საკავშირო ტელევიზიისა და რა...დიოს დიდი სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი.

...უზომოდ მიხარია, რომ ისეთი მასშტაბის უმნიშვნელოვანესი ...ბისძიება, როგორიც საბჭოთა მუსიკის საკავშირო ფესტივალია, ...ტარება თბილისში, ქალაქში, რომელთანაც დაკავშირებულია ჩემი ...ოქმედებითი ცხოვრების საუკეთესო წლები. მივესალმები ფესტი...ლის ორგანიზატორებს, რამეთუ ეს დღესასწაული საბჭოთა მუსი...ყვავებასა და წინსვლას ემსახურება.

...დიდი სიამოვნებით მივიღე მოწვევა ვუდირიჟორო ისეთ სახელ...ოვან კოლექტივს, როგორიც შრომის ნითელი დროშის ორდე...ანი საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს დიდი სიმფონიური ...ესტრა. ბედნიერი ვარ, რომ ფესტივალის გახსნის პირველსავე ...ს ჩემი დირიჟორობით ორკესტრი შეასრულებს ანდრია ბალან...ის № 3 სიმფონიას, კომპოზიტორისას, რომლის შემოქმედებაც ...ალზე მიყვარს და მიზიდავს.

ო. დიმიტრიადი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

...ეს დღეები გარდა იმისა, რომ საბჭოთა მუსიკის ბოლოდროინ... მიღწევებს გაგვაცნობს, მეგობრობის დღეებიც იქნება. მუსიკის ...�ად აბა რა აახლოებს ადამიანებს... თბილისს გარდა, თქვენი ...ენიერი რესპუბლიკის ბევრი რაიონი და ქალაქი დაგვხვდება ...ენ.ახალი მიღწევებით, ჩვენ კი — ხელოვნების მოღვაწენი, ახალ ...ილებებს შევთავაზებთ მშრომელებს.

...სწორედ ფესტივალის დღეებში შესრულდება პირველად ჩემი კვა...ტეტი სიმებიანი ორკესტრისათვის და, რა თქმა უნდა, ერთგვარად ...ლავ კიდეც. თურქმენეთიდან სამკაციანი დელეგაცია ჩამოვიდა. ...გარდა ფესტივალში მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო არ...ტისტები კომპოზიტორი ვ. მუხატოვი და კომპოზიტორი დ. ნურიე...ერთისა სიმფონია შესრულდება ამ ფესტივალზე, ხოლო მეორე... — ტრიპტიხი კამერული ორკესტრისათვის.

...ბილისი ოქტომბერში ადრეც მინახავს. მითხრეს, თბილისობამ ...ბიორად გაალამაზა შემოდგომის ეს თვე მთელ საქართველოში. ...ბარული ვარ, რომ შესაძლებლობა გვეძლევა საკუთარი თვალით ...ბოთ ეს დღესასწაული, რომელსაც უეჭველად მეტ ეშხს შემატებს ...ენ მრავალეროვანი ქვეყნის მუსიკა და სიმღერა.

ჩ. ნურიმოვი,
თურქმენეთის სსრ კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

...ინთეზური თეატრის ...ელოვნება

...ითი წელი გავიდა მას შემ... რაც **მოსკოვის კამერული ...ალური თეატრი** პირველად ...ა თბილისს და „ამერიკავკა...ს მუსიკალური გაზაფხულის“ ...ერთ ყველაზე შთამბეჭდავ ...ელენად იქცა. მაშინვე ნათე...გახდა ამ სრულიად ახალგაზ... კოლექტივის ძირითადი მი...ოულება — ყოფილიყო, ერ... მხრივ, ახალი საბჭოთა ოპე... პირველი სცენური ხორ...ბმული, ხოლო, მეორე მხ... დაედგა და მსმენელისათ... მიეწოდებინა ან უკვე მივიწ...ული ან ჩვენში ჯერ განუხო...ვლელი უძველესი თუ უა...ესი საოპერო ქმნილებები. ...ამინვე განსაკუთრებული წა...ება მოიპოვა ოპერამ „ცხვი... — მახვილმა გოგოლისეულ... სატირამ, მუსიკალურ ენა... ორიგინალურად და მაღალ...ტვოულად აღიქერებულმა დი...ი შოსტაკოვიჩის მიერ.

...ჯერადაც საბჭოთა მუსიკის ...ტივალზე, ამ დიდ და მნიშვ...ოვან ფორუმზე, მოწვეულია ...ოვის კამერული მუსიკალუ... თეატრიც, რომლის სამხატვ... ხელმძღვანელია სსრ კავში... სახალხო არტისტი, სახელმ... ო და ლენინური პრემიების ...ურეატი, რეჟისორი ბორის ...ოვსკი, ხოლო მუსიკალური ...ელმძღვანელი — **საბჭოთა კავ...ის სახალხო არტისტი, სახე...წიფო და ლენინური პრემიების ...ურეატი გენადი როჟდესტვენ...**

...ურცელია თეატრის რეპერტუ... ი. იგი მოიცავს როგორც უძ...ეს საოპერო კლასიკას, ისე ...ამედროვე საოპერო ნაწარმო...ებს, თეატრის რეჟისორული ...ნციპი — სცენის მთლიანად ...ერწყმა მაყურებელთა დარბა...ზს, დარბაზის გამოყენება მი...სცენებისათვის — განსაზღვრა ...აყოვნი ამ თეატრის პირობებმა, ...ც სცენა ერწყმის მაყურებელთა დარბაზს. ამას თავისი დადებითი შედეგებიც მოჰყვა. ეს მომენტი უშუალო გარემოს ქმნის საოპერო მსახიობისათვის და საშუალებას აძლევს მას მაქსიმალურად განთავისუფლდეს იმ პირობითობისაგან, რომელსაც თვით საოპერო ჟანრი წარმოშობს მსახიობის წინაშე.

თანამედროვეა მსახიობთა ვოკალური კულტურა. ეს არის ტიპური თანამედროვე სინთეზური თეატრი, სადაც მსახიობს ერთ დონეზე მოეთხოვება აქტიორული თუ მუსიკალური პროფესიონალიზმი. მრავალ სპექტაკლში იშვიათად შეხვდებით ტრადიციულ გაშლილ ვოკალს. მსახიობისათვის ბუნებრივი ხდება ყოველგვარი „ზებუნებრივი“ ბგერათწარმოქმნა, რომელიც კომპოზიტორს ესთეტიკით არის ნაკარნახევი, მაგრამ თავისუფლად იშლება მათი ვოკალი მაშინვე, როგორც კი ამას მუსიკალური დრამატურგია მოითხოვს. გარდასახვის ეს თავისუფლება, ნაწარმოების სტილის ლოგიკური გააზრება თეატრის მსახიობთა მაღალი პროფესიონალიზმის, მათი მრავალმხრივი აქტიორული თვისებების დადასტურებაა.

მოსკოვის კამერული მუსიკალური თეატრის გასტროლები ჯერ კიდევ ფესტივალის გახსნამდე დაიწყო. მან უკვე წარმატებით უჩვენა იგორ სტრავინსკის ოპერა „ლაზონდორას თავგადასავალი“ და ალექსანდრე ხოლმინოვის „მეთერთმეტე სერია“. ფესტივალის დღეებში თეატრი ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის შენობაში წარმოადგენს კიდევ ორ სპექტაკლს — ოთარ თაქთაქიშვილის „მუსუსს“ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის მიხედვით და ალექსანდრე ხოლმინოვის „შინელს“ და „ეტლს“ გოგოლის მიხედვით.

მ. კორძაია.

უნგრეთის ხიდღო ქართველ მუსიკოსებს

...ადიდ უნგრელი კომპოზიტორი ...ა ბარტოკი ძალზე უყვართ ...ენს ქვეყანაში. მისი ნაწარმოე...ბი, რომლებიც ამკვდრებს კა...ბრობის ნათელ იდეალებს, ...ეი მხატვრული კოლექტივისა ...შემსრულებლის რეპერტუა...ს ამშვენებს. ბარტოკის ნაწა...ოებთა შესანიშნავი ინტერპრე...ტორები არიან საქართველოს ...ალხო არტისტი, საქართველოს ...ალხო ელმძღვანელი ეროვნული ...ელმწიფო სიმფონიური ორკე...ტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ...ი მთავარი დირიჟორი, საბჭოთა ...ავშირის ამკერძანდელი საკავშირო ...ელევიზიისა და რადიოს დიდი სიმ...ფონიური ორკესტრის სამხატვრო ...ელმძღვანელი ჯანსუღ ...ანძე და რესპუბლიკის ხელოვ...ნების დამსახურებული მოღვაწე, ...ბილისის სახელმწიფო კონსერ...ატორიის პროფესორი, პიანისტი ...ა კომპოზიტორი ნოდარ გაბუ...ა.

21 ოქტომბერს საქართველ...ს კულტურის სამინისტროში ...ართველი მუსიკოსები დაჯილ...დოვეს დიდი კომპოზიტორის სა...ხელობის სამახსოვრო საიუბილეო ...ედლით.

გადასცა რა მედლები, სსრ კავშირში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველმა იო

აქ, სადაც ძველი ბაზილიკაა

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ თბილისობის ზეიმი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ ძველი ქალაქის განახლებული უბნების დაბადების მოწმენი ვხდებით. აბა, რა წამლის ჩვენს მეხსიერებაში იმ შთაბეჭდილებას, თბილისობის პირველ ზეიმზე ციხე-ქონგურებითა თუ მოჩუქურთმებული აივნებით დამშვენებული ბარათაშვილის განახლებული ქუჩის ხილვისას რომ მივიღეთ. შარშან ზეიმის ცენტრმა ხიდგალმა, ბარათაშვილის ძეგლთან გადაინაცვლა. კიდევ ერთმა განახლებულმა უბანმა მიიჩქარა თბილისელთა ყურადღება. და განა მარტო აქ გავხდით არქიტექტურული პრემიერის მოწმენი. თვალს ახარებდა განახლებული მეტეხის დალმართის, ბამბის რიგისა თუ სამღებროს ქუჩები...

ამჯერად ახალი სასიამოვნო სანახობა ელით მოზეიმე თბილისელებს ანჩისხატის უბანში, რომელმაც სულ ახლახანს საბჭოთა საქართველოს სამოცი წლის თავის იუბილეზე ჩამოსულ სტუმართა მოწონება დაიმსახურა. მაშინ იშვა ეს უბანი, იმ დროისათვის ბევრი რამ გაკეთდა აქ, მაგრამ ბევრიც • გასაკეთებელი დარჩა. და აი, მშენებლებმაც თბილისელთათვის მეტი სიცოცხლით ამეტყველეს მთელი ეს ტერიტორია.

აქვე გვინდა მკითხველს შევახსენოთ რესპუბლიკის იუბილეზე ჩამოსული ყველაზე საპატიო სტუმრის, ჩვენი მეგობრის და საყვარელი ადამიანის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები: „მშვენიერია თბილისის ძველი უბნები, რომლებიც განახლებულნი დაუბრუნდნენ ცხოვრებას. ამ უბნებს აღტაცებაში მოჰყავდათ გრიბოედოვი და პუშკინი. სწორედ მას უმღერა ფიროსმანის ფუნჯმა“.

...დღესასწაულამდე სამოიდე დღე რჩება. ჩქარობენ მშენებლები თუ ახალი მობინადრენი. ჩქარობენ, რომ ყველაფერი მოასწორონ, ხელდამშვენებულნი შეეგებონ წლევანდელი თბილისობის მოზღვავებულ სტუმრებს.

ბარათაშვილის ქუჩისა და მტკვრის სანაპიროზე გამავალი კუთხის კოშკურა ტიპის ბავშვთა ნახატების რესპუბლიკური გამოფენის ცენტრის შენობის წინ ქანდაკებათა კომპლექსს დგამენ. თვით შენობა თბილისმშენის მე-13 ტრესტის მეხუთე სამშენებლო სამმართველოს მუშაკებმა ააგეს. მათ მოლიანად დაამთავრეს საგამოფენო დარბაზები და სახელოსნოების მოწყობა, მალე აქაურობას ნორჩი შემოქმედნი დაეუფლებიან.

დაბალი ქართული აგურით ნაგები ღობე შემოვლო ჩვენი კულტურის უძველეს ძეგლს ანჩისხატის ეკლესიას, ახლა მის ეზოში ახლად რესტავრირებულ რიკულებიან. ბრტყელი ორნამენტებითა თუ ხის მაქმანიანი აივნებით დამშვენებულ სახლებში ბინა დიდო ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმმა, რომლის განკარგულებაში იქნება სალექციო და საგამოფენო დარბაზები. კიროვის რაიონის გამწვანების მუშაკები საგანგებოდ ალამაზებენ და მწვანე მოლით რთავენ ტაძრის ეზოს.

იქვე ყურადღებას იქცევს ტერასული ტიპის, ორიგინალური კონსტრუქციის შენობა, რომელიც კარგად ეხამება მიდამოს. ეს რესტორანი „ქალაქური“ გახლავთ. კედელზე მიმაგრებული ძველი თბილისელის ჭედურობა მიგანიშნებთ, რომ აქ მხოლოდ ქართული ეროვნული კერძებით გაგიმასპინძლდებიან.

პირველ სტუმარს მიიღებს თბილისური წყლებისა და ხაჰაჟურის სავაჭრო. შავთელის ქუჩაზე ბევრი ძველი საცხოვრებელი სახლი განახლდა, მათ ახლა ლამაზი აივნები, რკინის მშვენერი და თბილისური სანათები ამშვენებთ.

სარესტავრაციო სამუშაოები მთავრდება ჩახრუხაძის ქ. № 16 სახლში, სადაც 1841-1845 წლებში უცხოვრია ჩვენს დიდ პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს. ამ სახლის სარესტავრაციო სამუშაოებს ასრულებს საბინაო სამმართველოს სპეციტრესტის ფასადების რემონტისა და რესტავრაციის სამმართველო. აქ პირველ სართულზე მოეწყობა ლიტერატურული სალონი და ბიბლიოთეკა.

...ვინც ღამით თვალს შეავლებს ჭხატვრულად განათებულ ანჩისხატის ბაზილიკას, ერთხელ კიდევ დალოცავს ამ უბნის ყველა განმაახლებლის მარჯვენას, დალოცავს ყველა იმათ, ვინც ჩვენს დედაქალაქს კიდევ ერთი ასეთი ახალი ღამაზი კუთხე შემატა.

ლ. ᲗᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ანჩისხატის უბანი. Ჯ. ᲚᲝᲛᲯᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲨᲔᲣᲢᲘᲛ, ᲓᲐᲪᲕᲐᲡᲐᲪ ᲜᲣ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲔᲗ!

ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ პარტიაზე შეიძლება ითქვას: მეტოქეები აქტიურად თამაშობდნენ, დიდი ენერგიითა და გატაცებით, მაგრამ ერთი რამ არ ავიწყდებოდათ — ახლა ზედმეტი რისკის დრო აღარ არის. ერთი სიტყვით, შეუტევ, მაგრამ დაცვასაც ნუ დაივიწყებ!

ჩიბურდანიძემ, რომელიც თეთრებით თამაშობდა, ინგლისური დასაწყისის ერთ-ერთი ვარიანტი აირჩია, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება სატურნირო პრაქტიკაში. ამ დასაწყისში მეტოქეები ერთმანეთს შეუპირისპირებენ ხოლმე თეთრუჯროვან კუს, რომლის ადრეულ სტადიაში გაცვლისაგან მსოფლიო ჩემპიონმა თავი შეიკავა. საერთოდ, დებიუტის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრიამ დაუბრკოლებლად განავითარა თავისი ფიგურები — წარმოიშვა დაახლოებით თანაბარი პოზიცია.

პარტიის შინაგანი დაძაბულობა ძალიან დიდი იყო. შუა თამაშში განხორციელდა საინტერესო ტაქტიკური ოპერაცია — თეთრებმა მოიგეს ცენტრალური ჰაიკი, მაგრამ დათმეს განაპირა. ორივე ბანაკში იყო სუსტი უჯრები, მაგრამ მეტოქეები ახერხებდნენ მათ დაცვას. მთელი შეხვედრის მანძილზე მეტ-ნაკლები წონასწორობა იყო შენარჩუნებული. სერიოზული, ხელმოსაჭიდი უპირატესობა ვერავინ მიიღო.

მეთვრამეტე სვლაზე თეთრები მაინც დათანხმდნენ გაეცვალათ თავიანთი პოზიციის სიამაყე — თეთრუჯროვანი კუ. ამის სანაცვლოდ ისინი იმედოვნებდნენ მხედრით მეტოქის განლაგებაში შეპრას. „მოვედა სეტყვა და დახვდა ქვა“, შეტევა და თავდაცვა ამ მეხვედრაში ერთნაირ დონეზე აღმოჩნდნენ. როცა ჩიბურდანიძე შეეცადა ლაზიერის ფრთაზე მიეღო ინიციატივა, ვებმა ზუსტი თავდაცვითი ნევრებით გაამაგრეს მისი ქარა. დაფიდან გაქრნენ ლარები, გაიცვალა თითო ეტი თეთრების პოზიცია მაინც უ რამდენადმე სასიამოვნოდ გ იყურებოდა, მაგრამ მისი გა ერების გზები არ ჩანდა. ჩემპიონის ეტლი მეშვიდე ზონტალზე შეიჭრა (სხვა შ ხვევაში ეს სახიფათო ამბავი ხლავთ ხოლმე), ალექსანდრ მას ასეთივე ოპონენტი დ რისპირა და 30-ე სვლაზე სასვლებით ბუნებრივი შედეგ ზლდათ.

ამრიგად, ანგარიში ისევ ნაბარია — 6,5:6,5. რჩება სამი პარტია. ჩემპიონის მხა მაინც არის ერთგვარი უპირ სობა. მას 1,5 ქულის დაგრ სჭირდება, მაშინ როდესაც ტენდენტმა 2 ქულა უნდა მ როვოს მატჩის მოსაგებად.

გუშინ მეტოქეები ისვენ ნენ. მორიგი მეთოთხმეტე პ რომელშიც ალექსანდრია რებით ითამაშებს, დღეისა არის დანიშნული.

ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ჩიბურდანიძე — ალექსანდ

ინგლისური დასაწყისი

1. c4 df6 2. dc3 c5 3. e6 4. df3 b6 5. dg2 db7 6. de7 7. db2 d6 8. 0-0 9. d4 cd 10. ლ:d4 a6 11. dbd7 12. dac1 b5 13. da3 14. g:d6 cb 15. ad g:d6 16. ec8 17. da4 h6 18. dd4 19. dg:g2 dh8 20. ლ:d8 21. e3 df:d7 22. h4 dg:f8 23. dge7 24. da5 de5 25. g:d8 26. ec7+ed7 27. ec8 ed8 ec7+ed7 29. ec5 ed5 30.

ყაიმი.

გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ 150 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘ, მრავალჭირვარამგადანახადი, სულგაუტეხავი და აღორძინებული მესხეთი. ეს მის სახელოვან წარსულზე თქვა დიდმა ილიამ: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება აქ აყვავებული, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია. ჩვენი სულის ძლიერებას აქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულობის აკვანი“... დიახ, აქ ირწეოდა ქართული კულტურის აკვანი. მაგრამ შემდეგ, ეამთა სიავის გამო, ვერაგმა მტრებმა იგი თვითონ მოსწყვიტეს დედასაქართველოს და სულიერი გადაგვარებისა თუ ფიზიკური მოსპობის საფრთხე შეუქმნეს. მხოლოდ ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა მხედრობამ შეძლო უცხოელთა თიმქმის სამსაუკუნოვანი ბატონობისაგან ამ უძველესი ქართული მიწის ხსნა. ეს იყო 1828 წელს. სწორედ ამ ისტორიული მოვლენის მესამე წლისთავზე, 1831 წელს დაფუძნდა ეს უძველესი განათლების კერა...

და აი, დღეს განახლებული და კვლავ აღორძინებული სამცხის გულში ნამდვილი ეროვნული დღესასწაულის სადარი ზეიმია — ახალციხის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლა თავისი არაებრის სახელოვან 150-ე წლისთავს აღნიშნავს.

საზეიმოდ მორთული სკოლის ეზოში, რომელსაც ამაყად დაჰყურებს თავს ათას განსაცდელში გამობრძმედილი ახალციხის ციხე-სიმაგრე, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. იუბილარი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებები გულითადად ეგებებიან სტუმრებს, რომელთა შორის არიან დედაქალაქიდან თუ ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული სახელოვანი ადამიანები — პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების მოღვაწენი, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკები, სტუდენტები... ბევრი მათგანი აქ, ამ სკოლაში აღიზარდა.

სკოლის იუბილეასადმი მიძღვნილ მიტინგს ხსნის საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი მ. ქაჯაია.

ახალციხის ძველი ციხე-სიმაგრის შემოგარენში მოსწავლეებმა აღმართეს პანო-წარწერა „150“ და საქართველოს სსრ განათლების მინისტრს უპატაკეს, რომ მიკვლეულია ადგილი, სადაც საუკუნე-ნახევრის წინათ საძირკველი ჩაეყარა მათს სკოლას.

ზეიმის მონაწილეებმა ინტერესით მოიკითხეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ოთარ ჭინჭარაძის გამოსვლა. მან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით შეკრებილთ გულითადად მიულოცა ზეიმი. შემდეგ წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომლითაც იუბილარი სკოლა და მასწავლებელთა ერთი ჯგუფი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სგგელებით და მთავრობის სხვა ჯილდოებით. პედაგოგების ერთ ჯგუფს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

— არსებობის მანძილზე, — თქვა სკოლის დირექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა გ. ივანიძემ, — სკოლამ ძნელი და სახელოვანი გზა განვლო. თავდაპირველად — 1831 წლიდან 1897 წლამდე იგი იყო სამაზრო სასწავლებელი, შემდეგ გადაკეთდა საქალაქო სასწავლებლად, 1912 წლიდან — უმაღლეს დაწყებითს სასწავლებლად, ხოლო 1921 წლიდან პირველი ქართული საშუალო სკოლაა ახალციხეში.

მომხსენებელმა და ზეიმზე გამოსულმა სკოლის აღზრდილებმა განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მოიხსენიეს პედაგოგები გიორგი კოპაძე, გიორგი ეკანანაშვილი, სერგი დანელია, გიორგი მილიქიძე და სხვები.

ახალციხის სკოლაში სხვადასხვა დროს ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდნენ გიორგი კობეშავიძე, კონსტანტინე ფირალიშვილი, პეტრე რუხაძე, გრიგორ ჯინჭველაძე, კონსტანტინე გვარამაძე, დები სოფიო და ქეთევან ზედგენიძეები, დიდი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის და — მარიამ მუსხელიშვილი, ელენე უკლება, მარიამ ყირქისლიშვილი, მარო ტატიშვილი, გიორგი ბურიძე, დარო გელაძე, სიმონ მარგველაშვილი, სტეფანე ხმალაძე, პავლე ბუტკოვსკი და სხვანი.

სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე სამშობლოს არაერთი სახელოვანი შვილი აღუზარდა. მათ შორის იყვნენ მიხეილ თამარაშვილი, რომლის ნეშტიც ამ ორიოდე წლის წინათ დიდი პატივით გადმოასვენეს იტალიიდან საქართველოში, პუბლიცისტები და საზოგადო მოღვაწენი ივანე, გვარამაძე („ვინმე მესხი“), იოანე ნებიერიძე, პეტრე ხარისჭირაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ადოლ-აბების პირველი აფთიაქის დამაარსებელი იოსებ მერაბიშვილი, ბეიერუთის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი ისტორიკოსი შ. ვარდომე, სარატოვის სასულიერო სემინარიის ყოფილი რექტორი თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მ. ანტონაშვილი, კალიფორნიის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი ისტორიკოსი ალ. მანველაშვილი, ისტორიკოსი, პროფესორი გიორგი ტიკაძე, იურისტი ნიკო ლომსაძე, ქიმიკოსი დავით გვარამაძე, საბჭოთა კავშირის გმირი მსახიობი კარლო მებაღიშვილი, მხატვრები ქრისტესია გიორგაძე, ვახტანგ ადვაძე...

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უმაგალითოდ გაიზარდა და განმტკიცდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1970 და 1979 წლებში სკოლას მიუშენდა ორი ახალი სასწავლო კორპუსი და სპორტული დარბაზი. ამან შესაძლები გახადა შემოეღოთ ერთცვლიანი მეცადინეობა და კაბინეტური სწავლება. უკანასკნელ წლებში სკოლის სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები აღიჭურვა საქართველოს თვალსაჩინოებითა და ტექნიკური საშუალებებით, რამაც კიდევ უფრო გააუმჯობესა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

სკოლაში ამჟამად 800-მდე მოსწავლე სწავლობს, რომელთა სწავლა-აღზრდას ემსახურება 55 მასწავლებელი. სანიმუშოდ არის დაყენებული მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული, ინტერნაციონალური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა.

1981 წელს მოსწავლეთა თვითმოქმედების X რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე სკოლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდნენ.

სკოლას მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აქვს მომძე უკრაინის ქ. ჟორნოძლოგგრადის ოლქის ქ. კრასნილუჩის პირველ საშუალო სკოლასთან, რომლის წარმომადგენლებმაც ახალციხელ მეგობრებს მხურვალედ მიულოცეს სკოლის იუბილე და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

მიტინგზე იტყოდენ წარმოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჭოლოშვილმა, პროფესორებმა ა. სილაგაძემ, მ. ლორთქიფანიძემ, დოცენტმა გ. გურგენიძემ, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სექტორის გამგემ ს. დვალმა, ახალციხისა და მეზობელი რაიონების წარმომადგენლებმა.

ზეიმი დაგვირგვინა დიდმა თეატრალიზებულმა სანახაობამ, რომელსაც უძღვებოდა მესხეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ნანა დემეტრაშვილი.

მრავალრიცხოვან სტუმარ-მასპინძელს მუდამ კეთილმოსაგონრად ექნება ეს დღე, როცა ასეთი დიდი სიყვარულით აღინიშნა ძველისძველი სამცხის მიწაზე დაარსებული განათლების პირველი კერის საუკუნე-ნახევრის გზა.

Შ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲡᲝᲮᲣᲛᲡᲐ და ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲨᲘ გამართა ჰიდროგეოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის კარსტული კომისიის წლიური სამეცნიერო სხდომა. იგი მოეწყო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების ხელშეწყობით.

საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა სხდომის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის განყოფილების გამგეს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს გ. ბუაჩიძეს და სთხოვა ეამბნა ამ სხდომის თაობაზე.

— კომისიის სხდომა მიეძღვნა კაცობრიობის ფრიად საჭირბოროტო თემას — წყალმომარაგების პრობლემას, — თქვა გ. ბუაჩიძემ. — როგორც ვიცით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ XX საუკუნის 80-წლები წყალმომარაგების ათწლეულად გამოაცხადა. მთელი მსოფლიოს სხვადასხვა პროფილის მეცნიერები დღეს მუშაობენ საკითხებზე, რომ გამოძებნონ ადამიანისათვის მტკნარი წყლის დამატებითი რესურსები. „წყლის შიმშილის“ თავიდან აცილებისათვის, რომელიც შეიძლება რეალურ საფრთხედ იქცეს, მეცნიერებს ჩაფიქრებული აქვთ, ერთი შეხედვით ფანტასტიკური პროექტები, მაგალითად, აისბერგების ტრანსპორტირება „მწყურვალე ქვეყნების“ ნაპირებთან და სხვა.

ამასთან ჩვენს პლანეტას აქვს შტკნარი წყლის მეტად მნიშვნელოვანი რესურსები, რომლებიც თითქმის არ არის გამოყენებული. მხედველობაში მაქვს მიწისქვეშა წყლები, რომლებსაც კარსტული მასივები შეიცავენ. მიწისქვეშა მდინარეებს, ტბებსა და მთელ ზღვებსაც კი შეუძლიათ მრავალი ათწლეულის მანძილზე უზრუნველყონ ადამიანი სუფთა, გემრიელი სასმელი წყლით.

კერძოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი დასავლეთ საქართველო დგას უზარმაზარ მიწისქვეშა ზღვაზე. მისი წყლით მარაგდებიან გაგრისა და ახალი ათონის მცხოვრებლები. მაგრამ ამ მიწისქვეშა აუზის პოტენციალის მხოლოდ მეათედ ნაწილს ვიყენებთ. მილიარდობით კუბური მეტრი ძვირფასი მტკნარი წყალი ყოველწლიურად ჩადის შავ ზღვაში. არადა, კარსტული წყლები ჰიდროტექნიკური ნაგებობისთვისაც შეგვიძია გამოვიყენოთ. და ჩვენ გვაქვს ამის მაგალითი: ჭუდაუთის რაიონში მიწისქვეშა მდინარეზე მუშაობს ადგილობრივი მნიშვნელობის პატარა სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური.

ჩვენი რესპუბლიკა მეტად მდიდარია კარსტული ჰიდრორესურსებით. მომდინარეობს მათი შესწავლა და გამოყენება. ამით, კერძოდ, შეგვიძლია ავხსნათ ის, რომ ჰიდროგეოლოგიათა საერთაშორისო ასოციაციის კარსტული კომისიის მორიგი სამეცნიერო სხდომის გამართვის ადგილად საქართველო იქნა არჩეული.

ამგვარი სიმპოზიუმი ჩვენს ქვეყანაში პირველად გაიმართა, მასში მონაწილეობდნენ შვეიცარიის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის სამეცნიერო ცენტრების მეცნიერები და სპეციალისტები. მოხსენებებში და დისკუსიების დროს განხილულ იქნა კარსტული პროცესების ჰიდროგეოლოგიის, მიწისქვეშა წყლების რესურსების შეფასების შეთოდიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები, მათი რაციონალური გამოყენების პრობლემები და ა. შ. სხდომის მოაწილეებმა ინახულეს საქართველოს კარსტული რაიონები: ახალი ათონის მღვიმე, მღვიმეები წყალტუბოს მახლობლად, გაეცნენ კარსტულ მასივებში ჰიდროტექნიკურ ნაგებობას — ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას.

ჰიდროგეოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის კარსტული კომისიის თავმჯდომარემ ა. ბიურგრმა (შვეიცარია), სხდომის სხვა მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა და, კერძოდ, ქართველ სპელეოლოგთა, ჰიდროგეოლოგთა, კარსტოლოგთა გამოკვლევებს.

აღინიშნა, თუ რა დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს პრობლემებს, რომლებიც სიმპოზიუმმა განიხილა. გადაწყდა იუნესკოს ეგიდით გამოიცეს წიგნი განხილულ თემატიკაზე.

ᲒᲣᲜᲔᲖᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲗ

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ და მომავალ თაობებს შეუნარჩუნონ ბუნების სილამაზე, მისი ეკოლოგიური სისტემების მთლიანობა — ასეთია იმ მეცნიერთა საბოლოო ამოცანა, რომლებიც დედამიწის ბიოსფეროს თანამედროვე მდგომარეობის პრობლემებს იხილავდნენ თბილისში ახლახან დამთავრებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე. სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში იყო საკითხი: გარემო ბუნების გაჭუჭყიანების კომპლექსური გლობალური მონიტორინგის — ჩვენი პლანეტის გარემო ბუნების მდგომარეობის დაკვირვების ყველა ქვეყნისათვის ერთიანი სისტემის შემუშავება. თბილისის სიმპოზიუმის მთავარი შედეგია ის, რომ მიღებულია გადაწყვეტილება საბჭოთა სპეციალისტებს დაევალოთ ამ სისტემის შემუშავება.

ამ გადაწყვეტილების განმარტებისას სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა, აღნიშნულ პრობლემაზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელმა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა ფ. როვინსკიმ საქინფორმის კორესპონდენტს კ. ცხოშელიძეს უთხრა:

— ამჟამად მთელი მსოფლიოს სპეციალისტებისათვის აშკარა გახდა, რომ გარემო ბუნებაში გამოიფრქვევა სხვადასხვა ტექნოგენური ნივთიერებანი, რომელთაგან ბევრს გენეტიკური და კანცეროგენული აქტიურობა ახასიათებს. დადგენილია, რომ მათ შეუძლიათ დაგროვება ნიადაგსა და მცენარეებში, პირუტყვის ორგანიზმში, იწვევენ ბევრი ბუნებრივი პოპულაციის, ეკოსისტემის, მთლიანად დედამიწის ბიოსფეროს მდგომარეობის ორმა ცვლილებას. ამ პირობებში მატერიალური წარმოების პროცესში ადამიანისა და გარემო ბუნების ურთიერთმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული მართვა შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით: თუ ობიექტური და ყოველმხრივი ინფორმაცია გვექნება გარემოს გაჭუჭყიანების მდგომარეობის შესახებ.

სსრ კავშირისა და ევრობის სოციალისტური ქვეყნების ტერიტორიაზე უკვე იქმნება საკვალიფიკაციო სადგურების ქსელი გარემო ბუნების ფონური გაჭუჭყიანების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. ისინი განლაგდება ეგრეთ წოდებულ ფონურ ბიოსფერულ ნაკრძალებში — გაჭუჭყიანების ლოკალური წყაროებიდან (სამრეწველო ცენტრებიდან) დაშორებულ რაიონებში. საბჭოთა კავშირში სისტემატური დაკვირვება კომპლექსური ფონური მონიტორინგის პროგრამით უკვე შემდინარეობს შემდეგ სადგურებში „ბოროვოე“ (ყაზახეთის სსრ), „ბრეზინსკაია“ (ბელორუსიის სსრ), „რეპეტეკსკაია“ (თურქმენთის სსრ). გარემო ბუნების ფონური გაჭუჭყიანების საექსპედიციო კვლევა მოეწყო უკანასკნელ წლებში ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, აბასთუმნის რაიონში.

საბჭოთა კავშირის მიღწევები დიდმნიშვნელოვანი სოციალური ამოცანის გადაწყვეტაში — გარემო ბუნების მდგომარეობისადმი კონტროლის, გაჭუჭყიანებისაგან მისი დაცვის ორგანიზაციაში აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემო ბუნების პროგრამამ, მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ და იუნესკომ.

80-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲬᲧᲐᲚᲗᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲐ

ᲛᲔᲪᲘᲪᲮᲕᲐᲠᲔᲗᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲐ

ᲙᲔᲓᲔᲚᲐᲣᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ მთაში განთქმული მეცხვარეები არიან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა სვიმონ კედელაშვილმა 50 წელი გაატარა ცხვარში. ასევე მისმა ძმამ ორდენოსანმა პავლე კედელაშვილმა 60 წელი დაპყო ცხვარში. 12 წელს მწყემსადგა ფარას სვიმონის უფროსი შვილი, ანანურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ომარ კედელაშვილი.

მეცხვარეთა ამ სახელოვანი დინასტიის ესტაფეტა ახლა სვიმონის უმცროსი შვილის გივის ხელშია. გივი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიდა ცხვარში და მამისეული ფარა ჩაიბარა. ყოველ 100 სულ ნერგზე 95 ბატკანი, ხოლო ყოველ ერთ სულზე — 3 კილოგრამი მატყული — ასეთია მისი 1981 წლის მაჩვენებლები. გივიმ წელს დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის ინფუსტრიული ტექნიკუმი, მაგრამ ცხვარი მაინც არ მიატოვა. მოწინავე ახალგაზრდა სულ ახლახანს პარტიის წევრად მიიღეს.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში, როცა იალაღებზე ქუჩი და ღვია შემოდგომის რთვილით დაიფარა, გივიმ შშობლიური მთები დატოვა და ნოღაეთისაკენ მამისეულ ფარას მეათედ გაუძღვა.

ლ. ᲮᲝᲮᲠᲝᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ.

ᲓᲠᲝ, ᲐᲛᲑᲔᲑᲘ, ᲛᲝᲕᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). რაიონის მეზრომელებსა და თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს შორის კარგა ხანია მეგობრული კონტაქტები დამყარდა. მუსკომედიის მსახიობები ყოველთვის ონელთა სასურველი სტუმრები არიან.

ამ დღეებში თეატრი კვლავ საგასტროლოდ იყო რაიონში. მაყურებელმა დიდი ინტერესით ნახა ა. ოვანოვისა და ნ. არეშიძის მუსიკალური კომედია „მე, ცოლი და სიდედრი“. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ზ. კახიანი, მხატვარი — ჟ. იმერლიშვილი, ქორეოგრაფი — კ. ძნელაძე.

ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲭᲐᲚᲐᲫᲘᲡ განაპირას — ენგურის ახალი არხის მარცხენა ნაპირზე, ცენტრალური ავტომაგისტრალის მახლობლად დამთავრდა სამშობიარო სახლის პირველი რიგის მშენებლობა. ნათელი ოთახები, ფართო დერეფნები, ახალი ტექნიკით აღჭურვილი ქირურგიული და თერაპიული კაბინეტები, კეთილმოწყობილი სამზარეულო პაციენტების კარგი მომსახურების პირობებს ქმნის.

ᲐᲮᲘᲒᲖᲐᲠᲘᲡ მეურნეობა-ტექნიკუმი, რომელიც 1929 წელს შეიქმნა, ერთ-ერთი ძლიერი მეურნეობაა არა მარტო გალის რაიონში, არამედ მთელ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს აქ მწყობრში ჩადგა თანამედროვე პროექტით აშენებული ორკორპუსიანი ბაგა-ბალი, სექსპლოატაციოდ გადაეცა ორსართულიანი 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც მეურნეობა-ტექნიკუმის საუკეთესო მუშები და მოსამსახურეები შეასახლდებიან.

Ი. ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ ჩამოსულმა აჯარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა (დირიჟორი — შ. მეგრელიშვილი) კონცერტები გამართა სოფლებში მაკვანეთში, ლიხაურში, ნასაკირალში, ანასეულში და ქალაქ მახარაძეში.

სიმფონიური ორკესტრის კონცერტებს დიდი წარმატება ჰქონდა.

ᲤᲐᲛᲑᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲣᲐᲮᲢᲔᲔᲑᲗᲐᲜ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). აქაური მეუხტეები შინაარსიანად ატარებენ თავისუფალ დროს.

ამ დღეებში კულტურის სასახლეს ტამბოვის ოლქის ფილარმონიის ჯაზური სიმღერების გუნდი ეწვია. სტუმრების შინაარსიანი პროგრამა მუშახტეებს მოეწონათ.

FIDE — CENS UNA SUMUS

ᲔᲕᲠᲝᲠᲣ